თინა მეგრელიძის საჯარო ლექცია

„ქალისა და კაცის თანასწორობის იდეა მართლმადიდებლურ თეოლოგიაში“

ადგილი: ქ. გორი, სახ. სასწავლო უნივერსიტეტი, საკონფერენციო დარბაზი (II სართული)
დრო: 3 ივნისი, სამშაბათი, 2 სთ.

საეკლესიო პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად ჩნდება გარკვეული კითხვები ქრისტიანობაში ქალისა და კაცის თანასწორობის შესახებ. ლექციის მიზანია წარმოაჩინოს თანასწორობის იდეა მართლმადიდებლური თეოლოგიის მიხედვით. განხილული მაგალითების საფუძველზე ვიმსჯელებთ, თუ საიდან გამომდინარეობს პრაქტიკაში არსებული არათანასწორი დამოკიდებულება ქალებისადმი – კონტექსტუალური/პატრიარქალური მიზეზებით და თუ თეორიული საფუძვლებით? ლექცია ამტკიცებს, რომ სწორედ იესო ქრისტე იყო პირველი, ვინც პატრიარქალური დამოკიდებულებები შეცვალა ქალების მიმართ, რაც არაერთხელ არის ხაზგასმული სახარებაში, შემდგომში კი ასახულია მართლმადიდებლურ დოგმატიკასა და სწავლებაში.

თინა მეგრელიძე – თეოლოგის მაგისტრანტი, ფემინისტური მისიოლოგიის სპეციალისტი, მუშაობს ქალთა საკითხებზე პოსტ-საბჭოთა სივრცესა და მართლმადიდებულურ თეოლოგიაში.